



N 01/277
23/07/2024

277-01-2-202407231546



სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს
უფროსს ბატონ ვასილ გედევანიშვილს

ბატონო ვასილ,

გაცნობებთ, რომ საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების 2024-2034 წწ ათწლიან გეგმაში შესულია პროექტი დასახელებით „სვანეთი“, რომელითაც მოცემულ რეგიონში მესტიის მუნიციპალიტის სოფელ იდლიანის მიმდებარედ დაგეგმილია, 500/110/35 კვ ძაბვის (267 მგვა სიმძლავრის) ქვესადგურის მშენებლობა. „იდლიანის“ ქვესადგურში გათვალისწინებულია 500 კვ ეგზ „კავკასიონის“ შეჭრა (შესვლა-გამოსვლა), რომელიც წარმოადგენს სს გეს „საქრუსენერგოს“ საკუთრებას. პროექტის განხორციელებისათვის საჭირო ხდება 500 კვ ეგზ „კავკასიონის“ N91-N94 ანძებს შორის მონაკვეთის რეკონსტრუქცია, რომელიც ზემოაღნიშნული ათწლიანი გეგმის თანახმად უნდა განხორციელოს სს გეს „საქრუსენერგომ“.

500 კვ ეგზ „კავკასიონი“-ს არსებული მიმართულებისა და საპროექტო „იდლიანის“ ქვესადგურის განთავსების ადგილმდებარეობიდან გამომდინარე შეჭრის მიმართულებად შეირჩა მდინარე ენგურის მარჯვენა სანაპირო. პროექტით გათვალისწინებული სარეკონსტრუქციო მონაკვეთის სიგრძე შეადგენს 1.251 კმ-ს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე წარმოგიდგენთ 500 კვ ძაბვის ეგზ „კავკასიონის“ N91-N94 საყრდენებს შორის მონაკვეთის რეკონსტრუქციის პროექტის სკოპინგის ანგარიშს და გთხოვთ თქვენს დასკვნას.

დანართი:

- 500 კვ ძაბვის ეგზ „კავკასიონის“ N91-N94 საყრდენებს შორის უბნის რეკონსტრუქციის პროექტის სკოპინგის ანგარიში - ერთი ეგზემპლარი ნაბეჭდი ვერსია - 128 ფურც;
- სკოპინგის ანგარიშის ელექტრონული ვერსია და საქმიანობის განხორციელების ადგილის GIS კოორდინატები SHP ფაილების სახით;

- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან სს გაერთიანებული ენერჯეტიკული სისტემა „საქრუსენერგოს“ რეგისტრაციის თაობაზე - 2 ფურც.

პატივისცემით,

ბაჩანა სულაძე



გენერალური დირექტორი

